პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 64 (13185) | ხუთშაბათი, 18 მარტი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

1965 21 მარტი

დეპუტატობის კანდიდატები

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხანაში კონსტანტინე დარბინიანი სამუშაოდ 1945 წელს მოვიდა. გულით სურდა ზეინკლობა შეესწავლა. იგი გამოცდილ ოსტატს ვლადიმერ კაზალოვს მიამაგრეს. ალღოიანი და მუყაითი ახალგაზრდა მალე დაეუფლა ხელობას. ერთი წლის შემდეგ მოწინავე ზეინკლების მწყობრში ჩადგა, დავალებას ორმაგად ასრულებს.

კონსტანტინე მარტო მაღალნაყოფიერი შრომით როდი გამოირჩეოდა. მუდამ ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საქმეში. მარტო 1964 წელს წარმოებაში დაინერგა მისი ოთხი რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც ქარხანას წლიურად 500 მანეთ ეკონომიას აძლევს.

დაუღალავი, გულისხმიერი ადამიანის შრომა ღირსეულად დააფასა ქარხნის კოლექტივმა. იგი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

მთაგართბილისმშენის მე-9 საშენებლო სამმართველო ერთ-ერთი მოწინავე კოლექტივია, რომელიც მუდამ დიდი გადაჭარბებით ასრულებს დავალებას. აქ წარმატებას იმით აღწევენ, რომ გაბედულად ნერგავენ ლენინგრადელ, მოსკოველ და მომმე, რუსპუბლიკების მშენებელთა მოწინავე გამოცდილებას.

დიდი ხანია ჩამოყალიბდა კომპლექსური ბრიგადები, რომლებმაც თავიანთი დანიშნულება გაამართლეს. დაჩქარდა მშენებლობა, გაუმჯობესდა ხარისხი, შემცირდა დანახარჯები.

ერთ-ერთ ასეთ ბრიგადას ხელმძღვანელობს ზოთა ჩხუტიაშვილი. ბრიგადამ მაღალნაყოფიერი შრომით მთელი კოლექტივის პატივისცემა დაიმსახურა. ბრიგადის თავკაცი შ. ჩხუტიაშვილი ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

• • •

სურათებზე: ზემოთ — კ. დარბინიანი, ქვემოთ — შ. ჩხუტიაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პარტია და ხალხი ერთიანია

დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრა ამომრჩევლებთან

17 მარტს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს № 15 საარჩევნო ოლქის წარმომადგენლები შეიკრიბნენ პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლის დარბაზში. აქ მოვიდნენ თბილისის ლენინის რაიონის მეშენები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ახალგაზრდა ამომრჩევლები.

ვანსაკუთრებით გულითადი იყო მათი შეხვედრა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხანაგ ვასილ პავლეს-ძე **მეჟვანაძესთან**, რომელიც კენჭს იყრის № 15 საარჩევნო ოლქში.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ვ. პ. მეჟვანაძე, რ. ი. ფრუიძე,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ე. მელაძე,** ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი **გ. ი. ქადაგიძე,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი **ო. ი. ლოლაშვილი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **შ. ე. ბუხრაშვილი,** საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **დ. გ. აბუთიძე,** ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. ხ. ჯანჭლავა,** პარტიული. საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობათა მოწინავეები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. გურიელმა.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორს გ. სამხარაძეს.

— ჩვენ, თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 15 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს, — თქვა მან, — დიდი პატივი გვაქვს ხმა მივცეთ პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილს ვასილ პავლეს-ძე მეჟვანაძეს.

ორატორი შეეხო ვ. პ. მეჟვანაძის ცხოვრების გზას, პარტიულ და საახალგაზრდო საქმიანობას.

— შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, — თქვა მან, — რომ ჩვენი ოლქის ამომრჩეველები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ერთიანი ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მეჟვანაძეს.

ტრიბუნაზეა ელმავალსაშენებელი ქარხნის მოწინავე ზეინკალი ე. შედანი. მან ილაპარაკა დიდ შრომითს დ. პოლიტიკურ აღმავლობაზე, რაც ეხლა არის ქარხანაში, ქალაქის სხვა საწარმოებში.

სიტყვას ამბობს ქარხნის მთავარი ტექნოლოგის მოადგილე ბ. ნინი.

— ჩვენი საწარმოს კოლექტივი, ისევე როგორც ყველა მშრომელი, — თქვა მან, — კარგად იცნობს ამხანაგ ვ. პ. მეჟვანაძეს. მისი ხელმძღვანელობით რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წარმატებაწი მოიპოვეს ეროვნული გეგმის დავალებათა შესრულებისათვის, იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დაუსახეს ჩვენს ხალხს.

აღფრთოვანებულ სიტყვას ამბობს ახალგაზრდა ამომრჩეველი, საშუალო სკოლის მოსწავლე ი. გვენცაძე.

— არჩევნების დღეს — 21 მარტს მე დიდი სიხარულით მივცემ ხმას სახალხო ბლოკის კანდიდატებს, ჩემს მშვენიერ მომავალს, ბედნიერებას, — ამბობს იგი.

— ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნები, — განაცხადა კრებაზე დიასახლისმა გ. ციცერონიძემ, — დამჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანები იწონებენ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

დარბაზში შემოდიან პიონერები და მოსწავლეები. ისინი მადლობას უძღვნიან პარტიასა და მთავრობას ბედნიერი ბავშვობისათვის.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანმა ამხანაგმა ვასილ პავლეს-ძე მეჟვანაძემ, რომელსაც ამომრჩეველები გულთბილად და გულითადად შეხვდნენ.

ამხ. ვ. პ. მეჟვანაძემ სულითა და გულით მადლობა უძღვნა ამომრჩეველებს პატივისათვის, რომელიც მიაჩნია საბჭოთა ხალხის უსაზღვარო ნდობად ლენინური კომუნისტური პარტიისადმი — მასების ბრძენი ხელმძღვანელისა და ორგანიზატორისადმი. ეს ნდობა მოწმობს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთობას.

ამხ. ვ. პ. მეჟვანაძემ აღფრთქვა ამომრჩეველს, რომ არ დაიშურებს ძალღონესა და ენერგიას, რომ გაამართლოს ეს ნდობა.

ამაღე დღეს აქ გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 93 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატთან, თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის მკერავთან ციალა გიორგის ასულ თავშავაძესთან.

ნდობით აღჭურვილმა პირმა, ამ ფაბრიკის მოწინავე მკერავმა ქ. ჯავახიშვილმა ამომრჩევლებს გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და მოუწოდა მათ არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა თავიანთ კანდიდატს. მას მხარი დაუჭირა ფაბრიკის მოწინავე მუშამ ე. ჯალიაშვილმა.

შემდეგ გამოვიდა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ც. გ. თავშავაძე. მან მადლობა უძღვნა ამომრჩეველებს ნდობისათვის და დაჰპირდა მათ, რომ გაამართლებს ხალხის მსახურის მაღალ წოდებას.

• • •

17 მარტს თბილისის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის კლუბში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 141 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორს გრიგოლ დავითის-ძე **ლორთქიფანიძეს.** აგრეთვე ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს № 133 საარჩევნო ოლქისაგან თბილისის № 2 კანისა და ვეტერიუულ სნეულებათა დისპანსერის ცენტრალური კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგეს ნინო გრიგოლის ასულ ამაშაძეს, დეპუტატობის კანდიდატს № 134 საარჩევნო ოლქისაგან — ცენტრალური სანერგის დირექტორს გიორგი იოსების-ძე **ჯოლოშვილს** და დეპუტატობის კანდიდატს № 135 საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველ მდივანს ნიკოლოზ ასულ **გრიგალაშვილს.**

ნდობით აღჭურვილმა პირებმა ა. გ. შალუტაშვილმა, ც. ვ. ტოტოჩიამ, კ. კ. მამარდაშვილმა და ო. მ. ეკმეკჩიანმა ამომრჩევლებს გააცნეს დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიები და დაახასიათეს ისინი, როგორც პარტიისა და ხალხის ერთგული შვილები. მათ ამომრჩევლებს მოუწოდეს არჩევნების დღეს — 21 მარტს ერთსულოვნად მისცენ ხმა დეპუტატობის კანდიდატებს.

კრებაზე გამოვიდნენ ახალგაზრდა ამომრჩეველები, თბილისის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის პირველი კურსის სტუდენტი ს. პატატუევა და ამავე ტექნიკუმის მეხუთე კურსის სტუდენტი ბ. ბაკურაძე.

სიტყვები წარმოთქვეს დეპუტატობის კანდიდატებმა გ. დ. ლორთქიფანიძემ, ნ. გ. აბაშიძემ, გ. ი. ბოლოშვილმა, ბ. ნ. გრიგალაშვილმა, რომლებსაც დამწყრენი გულთბილად შეხვდნენ. მათ მადლობა გადაუხადეს ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის და პირობა მისცეს, რომ ძალღონესა და ცოდნას არ დაიშურებენ კომუნიზმის აშენებისათვის.

• • •

რკინიგზელის სახლში თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 151 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს, თბილისის უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირწყლების ქარხნის მუშას გულნარა სერგის ასულ **ნუცუბიძეს.**

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს ვ. მანგაგაძეს. მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის გ. ნუცუბიძის შრომითს ბიოგრაფიაზე.

ხუთი წლის წინათ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო გულნარამ საწარმოში მუშაობა. მუშაობის პირველი დღეებიდანვე იგი შთელმა კოლექტივმა შეიყვარა. ამხანაგები მას ახასიათებენ როგორც გულისხმიერ ადამიანს.

იმ უბანზე, სადაც გ. ნუცუბიძე მუშაობს, იგი მუდამ მოწინავეა, და განა მარტო უბანზე... საწარმოოო დავალებათა დიდი გადაჭარბებით შესრულება მიბოვის კანონი გახდა. გ. ნუცუბიძის გამოშვებული პროდუქცია ყოველთვის ჩინებული ხარისხისაა. ყოველივე ამისათვის მას კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მიენიჭა.

ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან ახალგაზრდა ამომრჩეველები გ. თოთლაძე, დიასახლისი ლ. თათარაშვილი, დიასახლისი პ. თეფზაძე, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატი დააჯასიათეს, როგორც მოწინავე წარმოების მუშაკი და კარგი ამხანაგი.

თავის გამოსვლაში გ. ნუცუბიძემ მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს ნდობისათვის და პირობა მისცა, რომ ღირსეულად ატარებს ხალხის მსახურის წოდებას.

აქვე ამომრჩევლები შეხვდნენ პირველი მაისის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს მეშვიდე საქალაქო საავადმყოფოს დირექტორს ვლადიმერ თევდორეს-ძე **ზაქარიაძეს,** პირველი მაისის რაიონის ცენტრალური შემსახველი სალაროს მმართველს გრიგოლ რომანოზეს-ძე **ხვედელიანს,** პირველი მაისის რაიონის სამხედრო კომისარს დავით ივანეს-ძე კონანოვს. (საქდესი).

არჩევნებამდე სამი დღე დარჩა

დედაქალაქი ზეიმისათვის ემზადება

საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. კიდევ სამიოდე დღე, და ჩვენი დედაქალაქის ამომრჩევლები მიიღებენ საარჩევნო უბნებს, რათა პირნათლად მოიხადონ მოქალაქეობრივი ვალი, ხმა მისცენ თავიანთ რჩეულთ — საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს.

არჩევნებს საგანგებოდ მომზადებული ხვდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი. საზეიმოდ გამოიყურება საარჩევნო უბნები და საადგილაციო პუნქტები, სადაც დაწესებულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და აგიტატორთა სადღეღამისო მორიგეობა, ერთხელ კიდევ საბოლოოდ შეამოწმეს და დაუსუფთავეს ამომრჩეველთა სიები. დიდი აღმავლობით ჩაიარა შეხვედრებმა დეპუტატობის კანდიდატებთან. წინასაარჩევნო კრებებზე ამომრჩევლები სრულ ნდობას უცხადებდნენ თავიანთ კანდიდატებს, გამოთქვამდნენ მზადყოფნას ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

თბილისის მშრომელებმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს ჩვენი დედაქალაქის წარჩინებული ადამიანები — მოწინავე მუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. კანდიდატთა შორის არიან ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ნოვატორი ხარატი ალექსანდრე მარგველაშვილი. მე-7 სამკერვალო ფაბრიკის ოსტატი ნადეჟდა ხოსროშვილი, მოწინავე მასწავლებელი ლეილა ხმალაძე;

დედაქალაქი საზეიმოდ არის მორთული დიდი სახალხო დღესასწაულის წინ. საარჩევნო უბნები ყველგან მზად არიან ამომრჩევლთა მისაღებად. მომზადებულია ყუთები, ხმის მისაცემი კაბინები, დედათა და ბავშვთა ოთახები, სამედიცინო პუნქტები, კეირას 21 მარტს, აგიტატორები დილაადრიან შეიკრიბებიან საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა დასახვედრად. ორგანიზებულია ტრანსპორტი ავადმყოფი ამომრჩეველებისათვის ბიულეტენების შინ მისატანად. ყველგან საარჩევნო უბნებში თეატრების, აგრეთვე თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების აგიტმხატვრული ბრიგადები გამართავენ კონცერტებს.

დედაქალაქი მზად არის ზეიმისათვის.

ჩვენი ინტერვიუ

აღმილოზრივი საბჭოების არჩევნების წინ

საუბარი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან, პარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანთან ამხ. ო. ლოლაშვილთან.

ქუთაისი მზად არის

საუბარი ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანთან თ. ვარდანაშვილთან.

ქუთაისის მშრომელები, რომლებმაც ფაროდ გაანაწილეს ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, შესანიშნავი წარმატებებით ხვდებიან არჩევნების დღეს. მათ 2,5 თვის დავალების გადამეტებით ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ბეგრმა საწარმომ უკვე შეასრულა პირველი კვარტალის დავალება.

ქალაქში შექმნილია 55 საარჩევნო უბანი და 289 საარჩევნო ოლქი. საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული და რეგისტრირებული არიან ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მოწინავე მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, აგრეთვე მასწავლებლები, ექიმები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები.

12 მარტისათვის ყველგან დამთავრდა და დიდი პოლიტიკური აქტივობით წარიმართა დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩეველებთან. ათასობით აგიტატორი ეწევა დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციას.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომზადებას. საარჩევნო ოლქები და უბნები ყველგან შესაფერის ბინებშია მოთავსებული და გემოვნებით არის გაფორმებული. ამასთან ისინი უზრუნველყოფილი არიან ყველა საჭირო დოკუმენტაციითა და ინვენტარით. ყველა საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილია აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენებით. ერთხელ კიდევ საბოლოოდ დავაზუსტეთ ამომრჩეველთა სიები, საარჩევნო კანონის სრული შესაბამისობით მოეწყო ხმის მისაცემი ოთახები და კაბინები. უკლებლივ ყველა საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირით.

მოფეტრებული ღონისძიებები განხორციელდება თვით არჩევნების დღეს — 21 მარტს. დილიდანვე ყველა უბანში მიფენენ აგიტმხატვრული ბრიგადები, გაიმართება კონცერტები. მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გამოსვლები.

საარჩევნო უბნებში ეწყობა დედათა და ბავშვთა ოთახები, სამედიცინო დახმარების პუნქტები, ბუფეტები. საქალაქო საარჩევნო კომისიას და საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებს შორის კავშირის გასაადვილებლად, აგრეთვე ამომრჩეველთა მომსახურებისათვის შეფოფლებული იქნება მსუბუქი ავტომანქანების მორიგეობა.

ქუთაისი. ყოველმხრივ მომზადებული ხვდება არჩევნებს.

ხმას მივცემთ რჩეულებს

საუბარი პარტიის ლაგოდეხის რაიონული კომიტეტის პირველ მდივანთან ვ. უნგიაძესთან

ლაგოდეხის საკოლმეურნეო სოფლებში მკვეთრად იგრძნობა გაზაფხული. ყველა მიდგომარეობა საკმეურნეო. სხვანაირად არც შეიძლება. ახლა წყდება უხვი მოსავლის ბედი. ამიხლს დაცდა არ უყვარს.

კოლმეურნეების შრომა კიდევ უფრო ხალისიანი ხდება იმიტომ, რომ ისინი ადგილობრივი საკმეურნის არჩევნებისათვის ემზადებიან. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს მოწინავე ადამიანები, ნოვატორები, ისინი, ვინც ძალასა და ენერგიას არ ზომავენს, რომ ამრავლოს სახალხო დოვლათი, დაუღალავად ემსახუროს ამომრჩეველს, პირნათლად შეასრულოს ხალხის განაწესი.

რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ყარსუბნის კოლმეურნეებმა ერთსულოვნად დაასახელეს მოწინავე მწველავი ლიუდმილა **პაიჭაძე** და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფორე **ხუციშვილი,** „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების მუშაებმა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს გამოცდილი მექანიზატორი ვიტენა **ზურაშვილი,** სოფელ პაუეიანის კოლმეურნეებმა — მოწინავე კოლმეურნე ნინო **ბრეგვაძე.** სულ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია 75 კაცი, საქალაქოში — 50, სასოფლო საბჭოებში — 582 კაცი.

საარჩევნო უბნები მზად არიან არჩევნებისათვის. დამთავრდა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია და მათთან შეხვედრები.

საკოლმეურნეო სოფლებში არჩევნებისათვის მზადების დღეებში სულ უფრო იზრდება შრომის ტემპი. დამთავრდა თამბაქოსა და ეთერზეთოვანი კულტურების თესვა სათბურებში. მთლიანად მოხნეულია ნიადაგი საგაზაფხულო კულტურებისათვის, წარმატებით მიმდინარეობს ათოშვა. ტენნიკა ძთლიანად გამზადებულია საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში შესრულებისათვის. რაიონის კოლმეურნეობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცხოველეობის პროდუქტიულობის. ამაღლებას. რაიონმა ბორცისა და რძის ჩაბარების პირველი კვარტალის გეგმა პირველი მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

გამოფენა „საბჭოთა რუსეთი“

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის, ჩვენი სამშობლოს წარსულისა და აწმყოს, მისი უსაზღვრო სივრცეების შესახებ შოგვითხრობს სახვითი ხელოვნების გამოფენა „საბჭოთა რუსეთი“. თვეზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ექსპოზიცია გაიხსნა დედაქალაქის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში. ამ დროის განმავლობაში გამოფენა უკვე დათვალიერა დაახლოებით 170 ათასმა კაცმა.

გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია 638 ავტორის 1.300 ფერწერული, სკულპტურული და გრაფიკული ნაწარმოები, გახარებს ხალისიანი ოპტიმიზმით, ცხოვრებისეული სიმართლით.

ოთხი წელი, რაც „საბჭოთა რუსეთის“ პირველი გამოფენის მოწყობის შემდეგ გავიდა, არც ისე დიდი დროა. მაგრამ რა დიდი ცვლილებანი შენიშნა ამ დროის მანძილზე მხატვრის მახვილმა თვალმა! მოსკოველი და ლენინგრადელი მხატვრები, „ავტონომიური რესპუბლიკების, სვერდლოვსკის, კუბიბშევის, ნოვოსიბირსკის, არხანგელსკის, ხაბაროვსკის, როსტოვის, ვორონეჟის მხატვრები დამთვალიერებლებს უჩვენებენ განვლილი წლების ნაცხარულსა და სიძველეებს. ბევრი ნაწარმოები უაღრესად ოსტატურად არის შესრულებული, იგრძნობა ახლის ძიება. ხშირად სურათებისა და ქანდაკებების დათვალიერების დროს მნახველთა შორის იმართება კამათი, ექსპონირებული ნაწარმოებების ღირსება-ნაკლოვანებათა განხილვა.

16 მარტს გამოფენა დათვალიერეს ამხანაგებ მ. ა. ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ი. მიქოიანმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, პ. ნ. დემიჩევმა, ლ. ი. ილიჩოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, ა. პ. რუდაკოვმა და ვ. ნ. ტიტოვმა.

გამოფენაზე იყვნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრები ნ. გ. ეგორიჩევი, გ. ვ. ენიუტინი, ნ. გ. იგნატოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ა. კარლოვი, მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ა. ი. პოპოვი.

გამმარტებებს იძლეოდნენ მხატვარი ვ. ა. სეროვი და მოქანდაკე ა. პ. კიბალნიკოვი. (საკდესი).

სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიაში

გაიმართა სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის მორიგი სხდომა. სხდომას მონაწილეობდა მოსმინეს კომისიის **1964** წლის მუშაობის ანგარიში, განიხილეს სამინისტროების, უწყებების, შემოქმედებითი კავშირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის ამოცანები იუნესკოს **1965-1966** წლების პროგრამის შესრულებაში.

კომისიამ განიხილა საბჭოთა აფრიკოლოგი მეცნიერების მონაწილეობის საკითხი აფრიკული კულტურების შესწავლისა და პოპულარიზაციის იუნესკოს გრძელვადიანი პროექტის განხორციელებაში, რომელიც გათვალისწინებულია 10 წლით. კომისიამ განიხილა აგრეთვე ცნობა, თუ როგორ სწავლობენ საბჭოთა კავშირში იუნესკოს სტიპენდიატები.

მკაფიო უთანგეჯდილებით

საბჭოთა პარლამენტარები სიერა - ლეონეში ყოფნის შესახებ

16 მარტს საღამოს ცენტრალური ტელევიზიით გამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები, რომლებიც სიერა-ლეონედან დაბრუნდნენ. საბჭოთა პარლამენტარები იქ იყვნენ საპასუხო ვიზიტად. ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, იმოგზაურეს სიერა-ლეონეში.

დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ზ. ნ. ნურიევმა აღნიშნა, რომ ამ ვიზიტმა წარმატებით ჩაიარა და რომ ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება იყო აფრიკის ამ ახალგაზრდა ქვეყნის უბრალო მშრომელებთან შეხვედრა და საუბრები. ამ ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებისადმი, საბჭოთა ქვეყნის წარმატებებისადმი ეკონომიკასა და კულტურაში.

მოგზაურობის დროს მიღებული შთაბეჭდილება გაუზიარეს ტელემაყურებლებს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ლ. მ. დავითაძემ, პ. ვ. კოვანოვმა, ა. გ. ნაუმ და ა. — ი. ვ. პაპუტუკასმა. (საკდესი).

სეტყვას — სოფლის მეურნეობის ამ დიდ მტერს — წარმატებით ებრძვიან ქართველი მეცნიერი გეოფიზიკოსები, მეცნიერები დედამიწიდან ახდენენ ზემოქმედებას მრისხანე სეტყვიან ბოლქვა-ბოლქვად შეკეთრილ ღრუბლებზე, ფანტავენ მათ და თავიდან იცილებენ სიტყვას.

ცაში რაკეტები ავარდნენ. მათ ალაზნის ველში დასეტყვისაგან დაიცვეს 150.000 ჰექტარი ვენახი.

გეოფიზიკოსებმა შექმნეს სეტყვის პროცესებზე ზემოქმედების მეთოდიკა და ღრუბლებში განსაკუთრებული ქიმიური რეაგენტების შეყვანის ნორმები, გამოიკვლიეს პროცესები, რომლებიც ღრუბლებში მიმდინარეობს. მათ მიიღეს ახალი საყურადღებო მონაცემები ბოლქვ-ბოლქვად შეკეთრებული ღრუბლების აღნაგობისა და ბუნებითარების დინამიკის შესახებ.

ქართველ გეოფიზიკოსთა ეს მუშაობა დადად შეაფასა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საბჭოს კომიტეტმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტსა მიენიჭა პირველი ხარისხის დიპლომი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფს გადასცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის“ პავილიონის 1964 წლის დიპლომები და მედლები.

ჯილდოები „ღრუბელთა დამკურნებთ“

ოქროს მედლით დაჯილდოებულია ღრუბელთა ფიზიკისა და აქტიური ზემოქმედების განყოფილების უფროსი ა. ი. ქარცივაძე, ვერცხლის მედლით — გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ა. ვ. ჭუბინაშვილი, ალაზნის სეტყვის საწინააღმდეგო სტაციონარული ექსპედიციის უფროსი ა. ა. ორჯონიკიძე, ალაზნის სეტყვის საწინააღმდეგო სტაციონარული ექსპედიციის შტაბის უფროსი ა. მ. ოკუჯავა.

ბრინჯაოს მედლით დაჯილდოებულნარიან ალაზნის სტაციონარული ექსპედიციის ზემოქმედების ჯგუფის უფროსის განყოფილების ინჟინერი ლ. ს. სარქისოვა, ღრუბელთა ფიზიკის განყოფილების ინჟინერი, ალაზნის ექსპედიციის რადიოლოკაციის ჯგუფის უფროსი თ. გ. სალუქვაძე, ღრუბელთა ფიზიკის განყოფილების ინჟინერი ვ. ა. ლაპინსკასი, ღრუბელთა ფიზიკის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი რ. ი. დორეული. (საკდესი).

უპასუხაკებენ სამშობლოს

□ საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ბზიშვილი, გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტოლიაშვილი და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ქუსტიშვილი რედაქციას ატყობინებენ, რომ გორის რაიონის მშრომელებმა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს. რაიონის მშრომელებმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები: ხორცისა 106 პროცენტით, რძისა 101 პროცენტით, კვერცხისა 100 პროცენტით. სახელმწიფოს მიეყიდა 1.760 ცენტნერი ხორცი, 5.030 ცენტნერი რძე, 494.000 ცალი კვერცხი. სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

□ **თერჯოლის** რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა **681** ცენტნერი ხორცი ნაცვლად **650** ცენტნერისა, რძე — **1541** ცენტნერი ნაცვლად **1.500** ცენტნერისა, კვერცხი — **215** ათასი ცალი ნაცვლად **182** ათასი ცალისა. ამის შესახებ რედაქციას დეპეშით აცნობეს საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა **ციფიანმა,** თერჯოლის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ლიბრაძემ** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **შუღლაძემ.**

□ **აბაშის** რაიონის მშრომელებმა 15 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები:

საბჭოთა აჭარა 44 წლისაა

რ. კომახიძე,
აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ლენინ აჭარის მშრომელები დიდი სიხარულით აღნიშნავენ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდმეოთხე წლისთავს.

აჭარამ, საქართველოს ერთ-ერთმა უძველესმა და ულამაზესმა მხარემ, ისტორიულად მრავალი აწიოკება, აოხრება, ტანჯვა განიცადა. როცა ჩვენი მშრომელები იგონებენ ამ მძიმე წარსულს, განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნავენ სახელოვან გმირჯვებებს, რომლებიც მოიპოვა აჭარამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. რევოლუციამდელი აჭარა როგორც ეკონომიურად, ისე კულტურის მხრივ, საქართველოს ყველაზე ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენდა. ისტორიის ძლიერ მცირე მონაკვეთში ძირეული გარდაქმნების შედეგად დაძლეულ იქნა ეს ჩამორჩენა, ჩვენი მხარე გადაიქცა აყვავებულ რესპუბლიკად განვითარებული თანამედროვე მრეწველობით, მრავალდარგოვანი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობით და მაღალი სოციალისტური კულტურით.

წინათ აჭარაში თითქმის არ იყო არავითარი მრეწველობა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი აშენდა 58 ფაბრიკა-ქარხანა, რომლებიც აღჭურვილი არიან თანამედროვე ტექნიკით. მათ შორის ეგოდავთ ისეთი მძლავრ საწარმოებს. როგორიც არის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, მანქანთსამშენებელო, კოფეინის, გემთსამშენებლო, ელექტროკარისა და ელექტრომოწყობილობათა, ტყავის გადამამუშავებელი ქარხნები, ავეჯის, ჩაის, თამბაქოს, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის, კონსერვის და მძიმე და მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოები.

საკმაოდ დიდი ასორტიმენტის ნაკეთობანი, რომლებსაც ჩვენი საწარმოები უშვებენ, კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა 122-ჯერ, ხოლო 1940 წელთან შედარებით ორჯერ და უფრო მეტად.

წარმატებით სრულდება შვიდწლიანი გეგმა. სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ექვსი წლის გეგმა შესრულებულია 103,1 პროცენტით, 1964 წლისა — 104 პროცენტით.

უკანასკნელ ხანს ხწრაფად განვითარდა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები, ათვისებულია ორმოცდაათზე მეტი სახეობის პროდუქციის წარმოება. ყოველწლიურად იზრდება ტექნიკური აღჭურვილობა, ხორციელდება თვალსაჩინო ღონისძიებანი ახალი ტექნიკის დანერგვის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დონის ამაღლებისათვის.

სოციალისტურმა გარდაქმნებმა სახე უცვალა სოფელს. დაქუცმაცებული წვრილი გლეხური მეურნეობის ნაცვლად შეიქმნა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. სპეციალიზაციის გონივრული გამოყენებით, ეკონომიუროლოგიური მეცნიერების დადგენით გაშენდა ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, თამბაქო, დაფნა, ვენახი, ხეხილი. შეიქმნა ჭარსაფარი ზოლების სისტემები, ათვისებულ იქნა ათასობით ჰექტარი მიწის ახალი ფართობები, მრავალწლიან ნარგავებს ახლა 25 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს, მათ შორის ჩაისა და ციტრუსებს — 13 ათასი, ხეხილს — 7 ათასი ჰექტარი. აჭარელი მეჩაიეები და მეციტრუსეები ყოველწლიურად იღებენ მყარ და სარეკორდო მოსავალს.

შარშან ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების მიყიდვის გეგმები. მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 29.911 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმის 105 პროცენტს შეადგენს. გადაჭარბებით შესრულდა ციტრუსი დაფნის ფოთლის, ბერეშუმის პარკის, საკოფეინო ნედლეულის, თესლოვანი ხილის შესყიდვის გეგმები.

აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკები, აღფრთოვანებულნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ახლა თავიანთ მეცადინეობას იჭიან წარმართავენ, რომ ახალი ფართობების ათვისებასთან ერთად აგროტექნიკურ ღონისძიებათა მაღალხარისხოვნად განხორციელების, მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, ხასუქების რაციონალურად გამოყენების საფუძველზე მიაღწიონ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციას, გაადიდონ მოსავლიანობა, თვითეულ ჰექტარ მიწაზე მოიყვანონ რაც შეიძლება მეტი პროდუქტები.

ეკონომიკის აღმავლობის კვალობაზე იზრდება კეთილდღეობა ხალხისა და საზოგადოებრივი ფონდები, ფართოვდება საყოფაცხოვრებო ობიექტების ქსელი. შარშან სახელმწიფო სახსრებით და მშრომელთა დანაზოგებით აშენდა 45,5 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გარდა ამისა, კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ აიშენა 2 ათასზე მეტი საცხოვრებელი ბინა. აშენდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების 7 შენობა, 3 საბავშვო დაწესებულება. დიდი სახსრები დაიხარჯა ქალაქების, სასოფლო, რაიონული ცენტრების კეთილმოწყობაზე. ხალხის სამსახურში ჩადგა ბათუმის მეორე რიგის და ქობულეთის წყალსადენები, ამავე ქალაქების ახალი სატელეფონო სადგურები, დამთავრდა ტელევიზიის სარეტრანსლაციო სადგურების შენებლობის სამუშაოები.

კულტურისა და ყოფაცხოვრების ყველა დარგი განვითარების ისეთ დონეზე ავიდა, რომელზეც წინათ ოცნებაც არ შეიძლებოდა. წარსულს ჩაბარდა ძველი დროის ისეთი ძმიმე ტკივილი, როგორიც იყო ჩამორჩენილობა, უწიგნურობა და ხიღარიბე.

ცხოვრების სოციალისტურმა წესმა განამტკიცა და მყარი გახადა ოჯახი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში მოსახლეობა ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა 18 ათასს აღწევს. მრავალშვილიანია ყოველი მესამე ოჯახი, სადაც იზრდება ხუთი და მეტი შვილი. საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაღვიძა და მჩქეფარე შემოქმედებით ძალად ჩამოაყალიბა მშრომელი ადამიანის სულიერი პოტენციური შესაძლებლობანი. ხალხის წიაღიდან გამოვიდა ინტელიგენციის შესანშნავი თაობა. მის რიგებს ამშვენებენ სახელმოხვეჭილი სპეციალისტები. მრავალმა მათგანმა დაიმსახურა საბჭოთა კავშირის მთავრობის მაღალი ჯილდო და საპატიო წოდება. მარტოდ აჭარის ასსრ საპატიო წოდებები აქვს მინიჭებული 805 სპეციალისტს.

უმაგალითოდ განვითარდა სახალხო განათლება, ლიტერატურა და ხელოვნება. ყოველწლიურად იმართება ოლიმპიადები, მხატვრული ნიმუშების გამოფენები, სპორტული შეჯიბრებანი.

სკოლის ასაკის ყველა ბავშვი ჩაბმულია სწავლაში. მარტო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში 58,6 ათასი მოსწავლეა, რაც 2,9 ათასით მეტია, ვიდრე წინა სასწავლო წელს. ათასობით ახალგაზრდა ეუფლება პროფესიებს უმაღლეს და საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლამ საშუალება მისცა ჩვენს მწერლებსა და მხატვრებს ახალი ნაბიჯები გადაედგათ სოციალისტური რეალიზმის, ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპების საფუძველზე.

მკითხველთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია ფ. ხალვაშის ახალმა რომანმა „საყვედურმა“, კარგი გამოხმაურება ჰპოვა, კ. რუსიძის „ჰიდილმა მოებში“. მალე გამოქვეყნდება პ. ლორიას რომანი „საიმედო მომავალი“ და ნ. გვარიშვილის ლირიკული ლექსები. მწერლობაში გამოჩნდა მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა. მათ გამოაქვეყნეს საინტერესო მოთხრობები და ლექსები. მაყურებელი დიდად გაახარა ახალმა ფილმმა „ჯარისკაცის მამამ“, რომელიც შექმნილია ბათუმელი ახალგაზრდა მწერლის ს. ულენტის სცენარის მიხედვით.

ადგილობრივი დრამატურგების ა. შარვაშიძის, ა. სამსონიას, შ. როყვას ახალი პიესების დადგმით ბათუმის სახელმწიფო დრამატიული თეატრის კოლექტივმა შექმნა სპექტაკლები, რომლებმაც მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს.

აჭარაში მომუშავე მხატვრებმა არა ერთი და ორი ნაწარმოები გამოაქვეყნეს. ახლა ჩვენი მხატვრები დიდი ინტერესით ემზადებიან მომავალი საოლქო გამოფენისათვის, რომელიც მიეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 45 წლისთავს. გამოფენის მოწყობაში მონაწილეობას მიიღებს 30 მხატვარი, მათ შორის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული 8 ახალგაზრდა მხატვარი.

ნაყოფიერად მუშაობენ ჩვენი მეცნიერები, მათ გარკვეული დადებითი წვლილი შეაქვთ სამამული მეცნიერების განვითარებაში. აჭარის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში მუშაობს 166 მეცნიერი მუშაკი, ამათგან 53 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია. საყოველთაო აღიარება დაიმსახურეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის მეცნიერმა მუშაკებმა. აკადემიკოს ქ. ბახტაძის ხელმძღვანელობით ფილიალის სელექციონერების მიერ გამოყვანილი ახალი ჰიბრიდული ჩაი და ციტრუსები, რომლებიც გამოირჩევა გამძლეობით და მაღალი ხარისხით, ფართოდ ინერგება სახალხო მეურნეობაში.

აჭარის მშრომელებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ერთ-ერთი უშრეტი წყაროა სოციალისტური ერების ხალხთა შედუღაბებული მეგობრობა. აჭარაში 30 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ. ყველა ისინი გამსჭვალული არიან ერთიანი ინტერესით, რათა მზარდი წვლილი შეიტანონ საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებაში.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 44-ე წლისთავი ემთხვევა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს, რისთვისაც მზადება ყველა უბანზე საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. ეჭვი არ არის, რომ არჩევნებში აჭარის მშრომელები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს და ამით კიდევ ერთხელ ცხადყოფენ თავიანთ ერთგულებას მშობლიური ლენინური კომუნისტური პარტიისადმი.

აჭარის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაუცხრომლად იშრომებენ იმისათვის, რომ თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ჩაის უხვი მოსავლის ოსტატად იცნობენ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში კომკავშირელ ვარდო მოწყობილს. გასულ წელს მან სახელმწიფოს ჩააბარა ოთხი ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული. ეს ბევრად აღემატება გეგმიურ დავალებას.

თანასოფლელებმა დიდი ნდობა აღმოუჩინეს ვარდო მოწყობილს, როცა იგი ერთსულოვნად დაასახელეს რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სურათზე: ვარდო მოწყობილი.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა.
(საქდისის ფოტოქრონიკა).

ეს დღეები ზირაქის ველზე

„კომუნისტის რეიდი“

ბაზაფხულია. ზირაქის ველ-მინდვრებზე ქარი ზუზუნებდა. მხეხელმთესველნი წუხდნენ — ქარი წაახდენს საშემოდგომო ნათესებსო. მაგრამ ჩადგა თუ არა ქარი, ამწვანებულ მინდვრებს თოვლის თეთრი ზეწარი გადაეფარა. დამშვიდდნენ კოლმეურნეები — ნათესები გადარჩაო, იმედი მიეცათ. მეორე დღეს გაზაფხულის ზზენ თოვლი გაადნო და ჯეჯილიც მომჯობინდა. გარდა ამისა, თესვის წინ ნალექები უხდება მიწას. ზირაქის მინდვრები ყველა წითელწყაროელისთვის სიხარულის მომგვრელია, რადგან იგი მათი სიმდიდრის წყაროა.

გავეცანით მათს საგაზაფხულო მარშრუტს. **საგაზაფხულო რაიონში უნდა დათესოს 15.280 ჰექტარი სხვადასხვა კულტურები. აქედან სიმინდი სამარცვლად 1.970 ჰექტარი, მზესუმზირა — 7.556 ჰექტარი, ვზრია — 545 ჰექტარი,** ხაკვები ბაღჩეული და ძირხვენები — 588 ჰექტარი, ერთწლიანი ბალახები — 335 ჰექტარი, მრავალწლიანი ბალახები — 102 ჰექტარი და სხვ.

საშემოდგომო თავთავიანი კულტურები რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს 33.000 ჰექტარზე უთესიათ. **წითელწყაროელებმა წელს სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 11.770 ტონა მარცვლეული.** ამ ციფრების უბრალო გაცნობიდანაც კი ცხადი ხდება, თუ რა დიდი ამოცანების წინაშე დგანან წითელწყაროელი მინდვრის მშრომელები შეადწლეული მშრომელები.

მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისთვის ამ ახალ რაიონში ბევრი საეულისმო ღონისძიება განხორციელდა. დროულად შეადგინეს საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმები, მშრომელთა ფართო მასებმა მიიღეს მონაწილეობა გეგმის შედგენასა და განხილვაში. ახლა ყველა კოლმეურნეობამ იცის, თუ რა სახის კულტურები როდის და როგორ დათესოს.

გაზაფხულის ამ დღეთა მაჯისცემა მეიელი ძალით იგრძნობა ზირაქის, ზილიანისა და ტარიბანის ველ-მინდვრებში, ალაზნისპირა ზვრებსა და ბაღებში. ჩვენი სარეიდო ბრიგადა პირველად **ჯაფარიძის კოლმეურნეობას** ეწვია. ამ კოლმეურნეობას (თავმჯდომარე **ნ. ყორიაშვილი**) საშემოდგომო თავთავიანი კულტურები 2.487 ჰექტარზე უთესია. ჯაფარიძელებმა კარგად იციან მინდვრის ყადრი. მათ დროულად იმსჯელეს მოსავლიანობის გადიდების გზების შესახებ და ქმედითი ღონისძიებებიც დასახეს. საშემოდგომო თავთავიანი კულტურების გამოკვლევა გეგმა-გრაფიკი დროულად შეადგინეს და ავიაციის გამოყენებით აგროვადებში დაიწყეს მინერალური სასუქების შეტანა.

ჯაფარიძელები დროულად მოემზადნენ აგრეთვე საგაზაფხულო თესვისთვის. მათ მზად აქვთ 35 ტრაქტორი, 12 სათესი მანქანა, საკრო რაოდენობით მომამზადებელ თესლი და სხვ. აღსანიშნავია ამ კოლმეურნეობის მინდვრის მშრომელთა გამოცდილება. მათ საგაზაფხულო თესლის კამპანიის დროულად და მაღალხარისხოვნად დამთავრების მიზნით ბრიგადები ისე დაკომპლექტეს, რომ მათში მემინდვრეებიც შედიან და მექანიზატორებიც. მემინდვრეობის იმ ბრიგადასთან, რომელსაც **ბ. რობიტაშვილი** ხელმძღვანელობს, **ალ. თემურაზოვის** სატრაქტორო ბრიგადა გაერთიანდა, **ალ. ტოკლიკიშვილის** მემინდვრეობის ბრიგადას კი **ვ. სიმონიძის** სატრაქტორო ბრიგადა მოემსახურება. მექანიზატორთა და მემინდვრეთა გაერთიანება უთოოდ სარგებლობას მოიტანს.

თესვა რაიონში ერთ-ერთმა პირველებმა ჯაფარიძელებმა დაიწყეს. მზესუმზირა უკვე დათესეს 106 ჰექტარი, ვზრია — 60 ჰექტარი, ითესება კარტოფილი, ბოსტნეული. თესვაზე კარგად მუშაობენ ტრაქტორისტები **პ. მინგალოვი, გ. ტოკლიკიშვილი, ნ. აბულაშვილი, გ. ჯანაშვიოი, პ. ჯულაგინი.**

წითელწყაროს რაიონში ზემო ქედის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე **ა. კობაიძე**) ერთ-ერთი დიდი საზოგადოებრივი მეურნეობაა.

ზემოქედელებს საშემოდგომო თავთავიანი კულტურები 4.530 ჰექტარზე უთესიათ. აქედან ხორბალი 4.230 ჰექტარია. საამური სანახავია ზირაქში მათი ჯეჯილები. აქედან ბევრ ადგილზე კარგად დაეუფლეხეს ქიმიურ ცოდნას. 2.000 ჰექტარზე უკვე თვითმფრინავით შეიტანეს მინერალური სასუქები. თვითმფრინავით სასუქების შეტანა კვლავ გრძელდება.

საგაზაფხულო თესვისთვისაც კარგად მოემზადნენ. საკრო რაოდენობით აქვთ სიმინდის, მზესუმზირას და სხვა კულტურების თესლი. ტრაქტორები, სათესები, საოშები, კულტივატორები შეკეთებულია. უკვე დათესილია ქერი — 100 ჰექტარი, ვზრია — 102 ჰექტარი. სულ მალე დაიწყება მზესუმზირას თესვა, რომელიც 1.100 ჰექტარს დაიჭერს, ხოლო სიმინდი 1.000 ჰექტარს. საამისოდ მზრალად ხნული დასათესად მომზადებულია, შეტანილია 4.300 ტონა ორგანული სასუქი.

ეუხვი მოსავლისა და პროდუქტების გაიადგილის კარგი საშუალებაა კომპლექსური მექანიზაცია. ზემო ქედის კოლმეურნეობაში სიმინდი, მზესუმზირა და თავთავიანი კულტურები ხელით შრომის გამოუყენებლად მოჰყავთ. საინტერესოა, როგორ არის დაკომპლექტებული კომპლექსური მექანიზაციის რგოლები, რომელიც სიმინდსა და მზესუმზირას აწარმოებენ. აქ ოთხი რგოლია შექმნილი, რომლებსაც გამოცდილი მექანიზატორები **ნ. ქავთარაძე, ნ. მეერვალიძე, ს. ქოქაშვილი** და **გ. დოლიძე** ხელმძღვანელობენ. ყოველ რგოლში ოთხი მექანიზატორია გაერთიანებული. თვითეულ რგოლს აქვს „დტ-54“ და „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორები, აგრეთვე მზესუმზირას და სიმინდის ასალები, კომბაინები, გუთნები, სათესები, საოშები, კულტივატორები, ლაფტები. ეს რგოლები მინდვრად არიან და უხვი მოსავლის მიღებისათვის თავდებით იბრძვიან.

რაიონის მეტი წილი კოლმეურნეობები საგაზაფხულო თესვის დაწყებას მომზადებული შეხვდნენ. დროზე მოამზადეს და კონდიციამდე აიყვანეს სხვადასხვა კულტურების თესლი. მიუხედავად ამისა რაიონის კოლმეურნეობებს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესლი არ გააჩნიათ. მაგალითად, საკვები ჭარხალი 588 ჰექტარზე უნდა დათესონ, სპირდებათ ზვიდ ტონაზე მეტი თესლი. ფაქტიურად „საქბოსტანჯიშთესლიდან“ დღემდე 300 კილოგრამზე მეტი არ მიეღიათ. ზემო მარხალნი, ზემო ქედი, ქკემო ქედი, არხილოსკალო — რომელი ერთი ვთქვათ. ჭარხლის თესლი თვითეულს 60-80 კილოგრამზე მეტი არა აქვს.

კოლმეურნეობებმა მრავალწლიანი ბალახები 102 ჰექტარზე უნდა დათესონ. დათესავდნენ კიდეც, მაგრამ ვვიან გამოორკვა, რომ ინჯის თესლი არ ჰქონიათ. აკლიათ ერთწლიანი ბალახების თესლიც. ზვრის თესვა აგროვადების მიხედვით დამთავრებული უნდა იყოს, მაგრამ ამის გამო, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობას თესლი არა აქვს, თესვის გეგმა დღემდე შეუსრულებელია. არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობას 100 ჰექტარიდან ზვრია 20 ჰექტარზე მეტი არ დაუთესია. თესლის მაცემას ჰპირდებიან, მაგრამ როდის? კიდევ მეტი. თესლის კონტროლის ლაბორატორიამ მათ მიერ წარდგენილი სუდანის ბალახის თესლი დაიწუნა.

რაიონის კოლმეურნეობებს მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა აქვთ და ორგანიზებულად იყენებენ. აქვთ 396 ტრაქტორი. გასული წლის მეოთხე და მომდინარე წლის პირველ კვარტალში 195 ტრაქტორი უნდა შეეკეთებინათ, ფაქტიურად 254 ტრაქტორი შეაკეთეს. 226 გუთნის ნაცვლად 308 გუთნის გაუკეთეს რემონტი, 114 სათესის ნაცვლად — 123-ს. ასეთივე მდგომარეობაა სხვა სახის იარაღ-მანქანების შეკეთების საქმეშიც, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ტექნიკის მზადყოფნის საქმეში ნაკლოვანებანი არ იყოს.

„საქსოფლტექნიკის“ ქედის ფილიალში თვეზე მეტია, რაც ქვემო და ზემო ქედის და არხილოსკალოს კოლმეურნეობების 4 ტრაქტორი დაშლილია, მაგრამ საჭიროა ნაწილების უქონლობის გამო რემონტს ვერ ამთავრებენ. ფილიალის ხელმძღვანელი შ. ვარიუკაშვილი სად არ დადის ნაწილების შესაძენად, მაგრამ ამაოდ. „საქსოფლტექნიკის“ წითელწყაროს განყოფილებას არა აქვს „დტ-54“ ტრაქტორის მომმართველი თვლები, მომმართველი თვლის მორგვები, დგუშები, უკანა ხიდის სარემონტო კომპლექტი, „დტ-74“ მარკის ტრაქტორებისათვის — დგუშები, ცილინდრები, რგოლები, ბლოკის სახურავი და სხვა. თხოვნაც ბევრი იგზავნება და მიმართვაც რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკაში“, მაგრამ... „არა გვაქვს“ — აი მათი „მადლიანი“ პასუხი.

რაიონში მზად არ არის ავტომანქანები. „საქსოფლტექნიკის“ წითელწყაროს განყოფილებამ 40 ავტომანქანა უნდა შეაკეთოს. აქედან მხოლოდ სამ ავტომანქანის რემონტი დაიწყეს და ისიც ვერ დაამთავრეს, რადგან ნაწილები არ აღმოჩნდათ. „გაზ-51“ მარკის ავტომანქანებისათვის არ გააჩნიათ დგუშები, თითები, ბლოკები, წინაღერძები, რესორები, აკუმულატორები, სიჩქარის კოლოფის კბილანები, უკანა ხიდის კორპუსები და სხვ. არხილოსკალოს კოლმეურნეობას 32 ავტომანქანა აქვს, მაგრამ 13-ზე მეტი არ მუშაობს. დანარჩენი 19 გაჩერებულია სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო. ქვემო ქედის კოლმეურნეობაში 31 სატვირთო ავტომანქანიდან 13-ზე მეტი არა მუშაობს. დანარჩენს რემონტი სჭირდება, მაგრამ ნაწილები? ეძებენ და ვერ შოულობენ. ასეთივე მდგომარეობაა არხილოსკალს, ზემო ქედის, ოზაანის, წითელწყაროსა და სხვა კოლმეურნეობებში. დიდი რაოდენობით აკლიათ საბურავებიც.

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობები მრავალდარგოვანი მეურნეობებია. მეცხოველეობის ფერმებში დიდძალი საკვების მოტანა უხდებათ, დიდი რაოდენობით გააქვთ სასუქი და სხვ. მალე მთელი ძალით გაჩაღდება საგაზაფხულო თესვა, და ავტოტრანსპორტზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზრდება. თუ სათადარიგო ნაწილები ვერ იშოვნეს, თესვის კამპანია უთუოდ შეფერხდება, დაიჭიოვება აგროვადები. ეს კი მოსავლის შემცირებას გამოიწვევს.

რაიონის კოლმეურნეობაში 28 თებერვალს მოეწყო ტექნიკის დათვალიერება. ეს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. გამომჟღავნდა ნაკლოვანებანი. თესვის კამპანიის წინ ეს მისასალმებელი ღონისძიება იყო, მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში „ტექნიკის დღეს“ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **მ. არაკელიანი**) ტექნიკა დაათვალიერეს რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა. დაუჯერებელია მათ ვერ შეენიშნათ ლენინის სახელობის კოლმეურნეობის უზარმაზარ ეზოში უწესრიგოდ, ტალახში რომ ყრია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ეზოს „ამკობს“ დიდძალი ჩამოწერილი მანქანები და ნაწილები. როცა ამის შესახებ შეეკითხეთ კოლმეურნეობის უფროს მექანიკოს **ნ. ლეშკოს,** მან გვიპასუხა, კომბაინებისა და სხვა მანქანების საყრდენებზე შეყენება აუცილებელი არ არისო. გაგვოიცა ძველი მექანიზატორის გულგრილობამ. ნუთუ იგი ვერ ხედავს, რომ მეტად საკრო იარაღ-მანქანები ტალახში ფუჭდება, რკინას ჟანგი სჭამს?

ეს ფაქტი ერთ-ერთ ნაკლოვანებად ჩავთვალეთ. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ბოლო-მანქანების ტექნიკური წესების დაცვით შენახვის საქმე მოუგვარებელია. მოწყობილი არა აქვთ სპეციალური მოედნები, სადაც უნდა იდგეს შეკეთებული და შესაკეთებელი მანქანები. არც ფარდულები გაკეთებით შეუწუნებიათ თავი. მექანიზატორებს რემონტის დროს მუხლამდე ტალახში უხდებათ დგომა. საკითხავია — ამის შემდეგ რა ფასი ჰქონდა „ტექნიკის დღის“ მოწყობას?

კოლმეურნეობას დიდი რაოდენობით სჭირდება ჰექსაქლორანი თესლის შესაწამლად და საშემოდგომო ნათესებში მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ „საქსოფლტექნიკის“ წითელწყაროს განყოფილებას ეს პრეპარატი არ გააჩნია. აქვე უნდა დაეძინოთ, რომ ნათესების შესაწამლი აპარატები ბევრ კოლმეურნეობას კი აქვს, მაგრამ ზოგიერთი ეუცილებელი დეტალი აკლია. ზემო ქედის კოლმეურნეობაში ჰექსაქლორანისა და ჰერბიციდების შესასხურებელ აპარატებს აკლიათ მფრქვევანები და „მანქეტები“. „საქსოფლტექნიკის“ წითელწყაროს განყოფილებას ეს ნაწილები არა აქვს, ამავე კოლმეურნეობას 50 ტონის ნაცვლად 1,5 ტონა ჰექსაქლორანი აქვს. ასეთივე მდგომარეობაა რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში.

წინა წლებთან შედარებით, წელს კოლმეურნეობებში დიდი ყურადღება მიაქციეს სასუქების ვალ-მინდვრებსა და მრავალწლიანთა პლანტაციებში შეტანის საქმეს. უკვე გატანილია 28.653 ტონა ორგანული სასუქი.

მაგრამ კოლმეურნეობათა ერთ ნაწილს ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. ავიღოთ არბიშიკის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე **მ. ალადაშვილი**). სოფლის თავში, მიშმირის მიდამოებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის ახლოს ყრია ათასობით ტონა წლობით დაგროვილი ნაკელი. ეს ფერმა ათ წელზე მეტია არსებობს, მაგრამ აქედან ორგანული სასუქი კოლმეურნეობის მინდვრებსა და ბაღ-ენახებში არავის არ გაუტანია. აქვე მოწყობილია ბეტონის საწუნწუხე, რაშიც საუკეთესო სასუქი გროვდება, მაგრამ ვერც ამას ამჩნევენ. ძვირფასი სასუქი ბაფხულში მზისაგან შრება. შემდეგ ისევ გროვდება და ასე გრძელდება წლობით. საინტერესოა, ეს ათასობით ტონა სასუქი ნუთუ არ სჭირდება არბიშიკის კოლმეურნეობის მიწას. როგორ არ სჭირდება! ამაზე მეტყველებს შარშანდელი ფაქტები. მათ სახარბიელო მოსავალი როდი მიიღეს! ორგანულ სასუქებს კი ნაკლებად იყენებენ.

ოზაანის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე **ა. მეხრიშვილი**) ნაკელის გატანის გეგმა შესრულებული აქვს 76 პროცენტით, წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას — 78,5 პროცენტით.

ერთი საგულისხმო ფაქტიც: წითელწყაროს ლენინის, ზემო ქედის და ჯაფარიძის კოლმეურნეობებმა ათობით ტონა აზოტოვანი სასუქი მოიმარაგეს, მაგრამ მფრინავებმა ნათესებში დროზე არ შეიტანეს სასუქები. ამასობაში სასუქმა წვიმისა და თოვლის გამო თავისი ღირსება დაკარგა. ეს ფაქტი რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის მუშაკთა დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს.

ჩვენ გვწამს, რომ რეიდის მონაწილეთა მიერ გამომჟღავნებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს წითელწყაროელთა მინდვრის მშრომელებს აგროვადებში დაამთავრონ საგაზაფხულო თესვა.

რეიდის მონაწილენი: **გ. ყორიაშვილი** — ჯაფარიძის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე, **მ. ჩქარეული** — ზემო ქედის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე, **ა. აფციაური** — არხილოსკალოს კოლმეურნეობის აგრონომი, **ი. გულიაშვილი** — ქვემო ქედის კოლმეურნეობის კედლის გაზეთ „გზა კომუნიზმისაკენ“ რედაქტორი, **ვ. გოზალიშვილი, ხ. ქოჩლაძე** — „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. დ. კუპრავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვახტანგ დავითის-ძე კუპრავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი,
1965 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. თ. მ. ჟეცბასა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დამსახურების ორმოცდაათ წლთან დაკავშირებით საქართველოს ჟურნალისტთა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-ფინანსიური ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. თემურ მახმადის-ძე ჭეცბა დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი,
1965 წლის 16 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ბ. ეკიზაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით პროფკავშირების აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მიხეილ გიორგის-ძე ეკიზაშვილი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბ

საერთაშორისო ხელოვნება

შეწყვიტეთ ავანტიურა!

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება გმობს ამერიკის ახალ აგრესიას

◆

ტოკიო. იაპონიის სოციალისტური პარტიის დელეგაცია ეწვია ამერიკის ტოკიოს საელჩოს და გადასცა განცხადება, რომელშიც პროტესტს აცხადებს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ამერიკის ავიაციის თავდასხმების წინააღმდეგ. სოციალისტურმა პარტიამ მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყვეტოს დაბომბვა და ბოლო მოუღონ იაპონიაში და ოკინავაზე განლაგებული ამერიკის სამხედრო ბაზების გამოყენებას ამ ბარბაროსული თავდასხმებისათვის.

იაპონიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი ეწვია მინისტრთა კაბინეტის გენერალურ მდივანს ხასიმოტოს და მოითხოვა, რომ იაპონიის მთავრობამ დაუყოვნებლივ მოუწოდოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა. (საკდესი).

მიმართვა ხალხისადმი

კაირო, 17 მარტი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში დამთავრდა პლებისციტი პრეზიდენტის ახალი ვადით არჩევის გამო, გუშინ გამალ აბდელ ნასერმა, რომელიც კვლავ აირჩიეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტად, რადიოთი მიმართა ხალხს. მან მადლობა გადაიხადა ნდობისათვის და გააცხადა, რომ მთელ თავის სიცოცხლეს მოახმარს ხალხის სამსახურის საქმეს.

ამ პლებისციტის მნიშვნელობა, აღნიშნა პრეზიდენტმა, ის არის, რომ დაიწყო ეროვნული ბრძოლის ახალი ეტაპი. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ პერიოდში არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში შეიქმნება მძიმე მრეწველობა — ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის საფუძველი, აგრეთვე იწარმოებს ბრძოლა იმპერიალიზმისა და ყველა მისი ფორმის წინააღმდეგ. ეს იქნება „კიდევ ერთი რევოლუცია იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს დემოკრატია და მიღწეულ იქნეს წარმოების ყველაზე მაღალი დონე", — ხაზი გაუსვა მან.

◆

ავსტრიის პრეზიდენტობის კანდიდატები

ვენა, 17 მარტი. (საკდესი). ავსტრიის სოციალისტური პარტიის პარტიული ხელმძღვანელობის სხდომამ, რომელიც გუშინ გაიმართა, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ავსტრიის პრეზიდენტობის კანდიდატად ავსტრიის სოციალისტური პარტიისაგან დაამტკიცოს ვენის ახლანდელი ბურგომისტრი ფრანც იონასი.

ავსტრიის სახალხო პარტიამ პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელა ყოფილი კანცლერი ალფონს გორბახი. ნაცვლად გარდაცვლილი პრეზიდენტის ა. შერფისა, ავსტრიის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევნები დანიშნულია მომდინარე წლის 23 მაისს.

ავსტრიის ... ბრ ... ...

... ...

... ...

...

დღეს ქობულეთში



ახალი პრეპარატები

ქობულეთთან ახლოს არის განლაგებული სამკურნალო და არომატულ მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალური სადგური, რომელსაც სამამულო სამედიცინო მცენარეული პრეპარატების სამეფოდლესაც უწოდებენ. სადგური და სამკურნალო მცენარეთა ქობულეთის საბჭოთა მეურნეობა ერთადერთი მომწოდებლები არიან კავკასიაში ველურად მოზარდ და კულტურულ მცენარეთა ნედლეულისა და პრეპარატებისა.

მხოლოდ ქობულეთში შეგიძლიათ ნახოთ ფარმოფოთოლიანი თავყვავილა, რომელსაც კუჭ-ნაწლავის მწვავე სპაზმების, თირკმლისა და ღვიძლის ჭვლების, ბრონქიალური ასთმის, სტენოკარდიის დროს იყენებენ. აქ ნახავთ კალიფორნიის მშვენებას — მსხვილყვავილიან მაგნოლიას, რომლის ფოთლებისგანაც სისხლის წნევის შესამცირებელ ეფექტიანს ამზადებენ; ჩინურ ხემაგურას, რომლის ფოთლებისაგან დამზადებული „ხემაგურას ნაყენი" ამაღლებს შრომისუნარიანობას.

აფრიკული ალოე, თირკმლის ჩაი, ფშნის ეკალა და სხვა მცენარეები ადამიანთა ჯანმრთელობის საქმეს ემსახურებიან.

ზონალური სადგურისა და მეურნეობის მეცნიერმა მუშაკებმა შექმნეს და წარმოებაში ნერგავენ ახალ ძვირფას პრეპარატებს. კავკასიური დიოსკურინისაგან შეიქმნა პრეპარატი „დიოსპონინი", რომლითაც ათეროსკლეროზს მკურნალობენ, ინდური სტეფანიის ბოლქვებიდან დაამზადეს „როტენდინი" — დამამშვიდებელი საშუალება ბავშვთა მკურნალობის დროს.

◆

ბარდამპალი დროშა მეექვსედ

ხარაჩოებში რაიონის ახალმშენებლობანი. შენდება და მშვენდება ქალაქი და სოფლები.

განსაკუთრებით გაფართოვდა სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბავშვო დაწესებულებებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა ქსელი. რაიონის ყველა სკოლაში განხორციელებულია ერთცვლიანი მეცადინეობა. სკოლების მატერიალური ბაზის გამმტკიცებაში მიღწეული წარმატებებისათვის ქობულეთის რაიონს მეექვსედ მიეკუთვნა საქართველოს ხსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ხარისხის ფულადი პრემია.

დიდი ყურადღება დაეთმო რაიონული ცენტრის კეთილმოწყობას. ქობულეთში, მის ცენტრალურ ლენინის ქუჩაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა ნაგებობანი აშენდა. კეთილმოეწყო ქუჩები და ტროტუარები. 15 კილომეტრზე, ლენინის ქუჩის ორივე მხარეს, დაირგო დეკორაციული მარადმწვანე მცენარეები, სხვადასხვა ჯიშის ხეხილი, მოეწყო ზღვისპირა პლაჟები, გაშენდა ახალი პარკები და სკვერები.

◆

დახმარება მრავალშვილიან დედებს

ყოველწლიურად იზრდება მრავალშვილიან დედათა რიცხვი. რაიონის 2.300 მრავალშვილიანი დედა სახელმწიფოსაგან იღებს პენსიებსა და ერთდროულ ფულად დახმარებას. 1963 წელს ამ მიზნით დაიხარჯა 288.166 მანეთი, ხოლო 1964 წელს ასიგნებანი მრავალშვილიანი დედების დასახმარებლად კიდევ უფრო გადიდდა და 375.400 მანეთს მიაღწია.

◆

ძვირფასი საჩუქარი

დიდი ზეიმი ჰქონდათ სოფელ გვარას მშრომელებს. ახლახან აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა რვაწლიანი სკოლის ორსართულიანი კაპიტალური შენობა. სასკოლო შენობის საკლასო ოთახების, კაბინეტების აღჭურვილობაზე 4 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა.

კურორტი ქობულეთი. ფოტო ს. კილაძისა.

„ნაკადულის" ნობათი

ეროვნებიდან იზრდება საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა „ნაკადულის" შემოქმედებითი გეგმები. ბუნებრივია, რომ ჩვენს მომთხოვნსა და მრავალმხრივი გემოვნების, ამავე დროს ყველაზე მრავალრიცხოვან მკითხველს ვეღარ დაკმაყოფილებს ჩვენი გუშინდელი წარმატებანი. არც ჩვენს ერთსულოვან კოლექტივს სურს დაკმაყოფილდეს მიღწეულით.

ბევრი საინტერესო წიგნი გვაქვს შეტანილი წლევანდელ გეგმაში. ოთხ მილიონამდე ცალ წიგნს მიიღებენ წელს „ნაკადულის" ნორჩი და ახალგაზრდა მკითხველები. და განა მარტო ისინი! არანაკლები ინტერესით ეწაფებიან ამ წიგნებს უფროსი ასაკის ადამიანებიც, რომელთათვისაც ყველაზე ძვირფასი და მახლობელია თაობის აღზრდის საქმე. მათ აინტერესებთ, და არ შეიძლება არ აინტერესებდეთ, როგორ ივსება და მდიდრდება ჩვენი ბავშვების სულიერი საუნჯე.

საბავშვო წიგნის გამომცემა მეტად რთული და ძნელი საქმეა; რთული და ძნელი, მაგრამ საპატიო და საშვილიშვილო. სწორედ ამიტომ ძალასა და ენერგიას არა ზოგავენ საქართველოს პოლიგრაფიის მუშაკები, რათა კიდევ უფრო აამაღლონ საბავშვო წიგნების პოლიგრაფიული შესრულების ხარისხი. ამ მხრივ განსაკუთრებულ გულმოდგინებასა და სიყვარულს იჩენენ გამომცემლობა „ნაკადულის" № 2 სტამბის (დირექტორი ნ. კაკუშაძე), სახალხო მეურნეობის სამბჭოს ლითოგრაფიული ბეჭდვის ფაბრიკის (დირექტორი ბ. სიმონიშვილი), ფერადი ბეჭდვის სტამბის (დირექტორი გ. გოგიჩაშვილი), თბილისის მეოთხე სტამბის (დირექტორი შ. იამანიძე), პირველი სტამბის (დირექტორი გ. დონაძე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბის (დირექტორი ვ. ხორბალაძე) კოლექტივები. „ნაკადულს" დიდ დახმარებას უწევს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კომბინატი, სადაც ჩვენს მრავალ წიგნებთან ერთად იბეჭდება ქართველი ბავშვების საყვარელი ფერადი ჟურნალები „დილა" და „პიონერი".

„ნაკადულის" დიდი მეგობრების — მწერლების, მხატვრების, მეცნიერების, გამომცემლობის მრავალრიცხოვანი მუშაკების შრომას ერთვის ქართველი პოლიგრაფისტების მადლიანი, დაუღალავი, პატრიოტული შრომა. სწორედ მათი იმედითა და დახმარებით მოჩუხჩუხებს და მუდამ იჩუხჩუხებს „ნაკადული"!

ამჟამად საქართველოს ყველა გამომცემლობა ემზადება, რათა ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. ჩვენც უკვე გამოვცეთ და შემდეგშიც სისტემატურად გამოვცემთ წიგნებს ოქტომბრის დიდ ბელადზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინზე, იმ სხვამოსილ ადამიანებზე, რომლებიც სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ ნორჩი თაობის ბედნიერებისათვის.

გასული წლიდან შეგუდექით გამარჯვების ოცი წლისთავისათვის მზადებას. სამამულო ომის თემაზე ჩვენ მიერ გამოცემულმა ბევრმა წიგნმა მკითხველთა მხურვალე მოწონება დაიმსახურა. ცხრა მაისამდე კიდევ უფრო გამდიდრდება ნორჩი და ახალგაზრდა მკითხველების წიგნების თარო, მათ შორის უხვად იქნება დიდი სამამულო ომის გმირებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები.

ახლაც „ნაკადულის" სახელზე მოდის ნამდვილი ნაკადი ამანათები.

სა, რომლებსაც მოაქვს სამამულო ომში დაღუპულ გმირთა სიკვდილწინა ფრონტული ბარათები. ეს ბარათები დაიბეჭდება კრებულში „ლაპარაკობენ დაღუპული გმირები". დიახ, უნდა ავალაპარაკოთ, გავაცოცხლოთ და სამუდამოდ უკვდავი გავხადოთ ადამიანები, რომელთაც თავიანთი ლამაზი, განუმეორებელი სიცოცხლე შესწირეს მშობელ ხალხსა და ქვეყანას!

ბევრი სხვა წიგნიც გვაქვს მომზადებული გამარჯვების დღისათვის. აი რამდენიმე: გრიგოლ ჩიქოვანის „დაჩუქული ბურთი" (მცირეწლოვანთათვის), კ. პაუსტოვსკის „ფოლადის ბეჭედი" (თარგმანი ვ. ძიძიგურისა), კოტე მესხის „მწვეარალისაკენ", გ. მიხასნენკოს „კანდაურელი ბიჭები" (თარგმანი ნ. ცაგარეიშვილისა), ლილარ ივარდავას „ასე იწყება ლერწმის შრიალი", მიხეილ კაკაბაძის „უკანასკნელი წვიმა", დავით კვიცარიძის „სადა ხარ, მარინე?", სამამულო ომში დაღუპული პოეტის გიორგი ნაფეტვარიძის „სიყვარული", ელიზბარ უბილავას „ანაკლიის ღამე", პეტრე შამათავას „დიკიზია გადადიოდა კავკასიონზე", რევაზ ჯაფარიძის „ბუხენგალელის სამრეკლო", თინა დონეფაშვილის „ჩემი მეგობარი", ოტია იოსელიანის „თეთრი სვანეთი", კლიმენტი ბკალიას „არწივები", ისაკ ქორთუას „რა დამავწყებს"..

დიდი სამამულო ომი ისეთი დიდი მოვლენა იყო საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, რომ მისი მხატვრული ასახვა დიდხანს იქნება ჩვენი მწერლობის. მათ შორის საბავშვო მწერლობის, ერთ-ერთი ამაღელვებელი თემა.

გამომცემლობა „ნაკადული" თავის მკითხველებს შემდეგშიც მიაწვდის წიგნებს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებზე, საბჭოთა ხალხის სახელოვან შვილებზე, რომელთაც თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს გამარჯვების დიდებული დღის გათენებაში.

ცხრა მაისს გამომცემლობა „ნაკადულის" საბავშვო წიგნის სახლი მოაწყობს თავის პირველ თემატურ გამოფენას, სადაც ნორჩი მკითხველები ნახავენ დიდ სამამულო ომზე ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებს.

ხუტა ბერულავა.

საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორი.

თეატრალური ქრონიკა

აფხაზეთის პროფსაბჭოს კულტურის სასახლესთან არსებულმა რუსულმა თეატრალურმა კოლექტივმა მორიგ პრემიერად სოხუმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე მაყურებელს უჩვენა ა. სალინსკის პიესა „მედოლე ქალი".

პიესის დადგმა ეკუთვნის ი. თორიას, მუსიკა კომპოზიტორ ლ. აფაქსიოევს. მედოლე ქალის როლი შეასრულა ლიუბოვ მირონოვამ.

რუსული თეატრალური კოლექტივი ამ დადგმით მომსახურებას უწევს საარჩევნო უბნებს.

სოხუმში საგასტროლოდ იმყოფება შავი ზღვის ფლოტის დრამატული თეატრი. სევასტოპოლელებმა მაყურებლებს უჩვენეს თავიანთი საუკეთესო დადგმები — ვ. ვიშნევსკის პიესა „ფართოდ გაშლილა ზღვა", ი. ედლისის — „ქერათმიანი ალეკო", ზ. რაზინსკის — „ასი ფურცელი სიყვარულის შესახებ" და სხვ.

სტუმრები გარდა სოხუმისა სპექტაკლებს გამართავენ აფხაზეთის სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

ნ. მიქაშავიძე.

მახარაძის სახელმწიფო თეატრმა მიმდინარე სეზონის მორიგ პრემიერად წარმოადგინა გ. მარუაშვილის სატირული კომედია „საქმენი აკიმეფურნი".

სპექტაკლის დამდგმელია თეატრის მთავარი რეჟისორი ლ. პაქაშვილი, მხატვრობა ეკუთვნის შ. დარჩიას.

ავტოტრანსპორტი — წესრიგში

გაზაფხულ-ზაფხულის მაძღლიერებული ტვირთზიდვის პერიოდის დადგომასთან ერთად იწყება ყველაზე პასუხსაგები ხანა ჩვენი რესპუბლიკის ავტომობილისტებისა და ტრანსპორტის მუშაკებისათვის.

ახლოვდება ავტომობილებისა და მოტოციკლების წლიური ტექნიკური დათვალიერება, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ავტოტრანსპორტისათვის **მოიწყობა 1965 წლის 20 მარტიდან 20 მაისამდე, ხოლო ავტოტრანსპორტის ინდივიდუალურ მფლობელთათვის — 20 მარტიდან 1 მაისამდე.**

რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის საშუალებათა წლიური ტექნიკური დათვალიერება ტრანსპორტის წესიერულობისადმი კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა და ხელს უწყობს მისი ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მოიწყობა ავტომობილების, ავტომობილის საწევრების, მისაბმელების, ნახევარმისაბმელების, მოტოციკლების, მოტოროლერებისა და პობედების ტექნიკური დათვალიერება, რომელთა ძრავების სამუშაო მოცულობა სულ ცოტა 49,8 კუბური სანტიმეტრია და რომლებიც მუდმივად ან დროებით აღრიცხულია სახელმწიფო ავტოინსპექციაში ან უნდა აღირიცხოს.

სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება წარმოებს მისი ძირითადი აგრეგატების, მექანიზმებისა და ხელსაწყოების ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით დათვალიერების მომენტში. კატეგორიულად აკრძალულია დამატებითი დათვალიერება ტექნიკური მდგომარეობის მაჩვენებელთა გაუმჯობესების მიზნით.

ტექნიკური დათვალიერების დროს ძირითადი ყურადღება ეთმობა ავტომობილის ბორბლებსა, ქვეთრები, რომ დათვალიერების გადასახადი შეტანილია სახელმწიფო ბანკში 1 მანეთისა და 50 კაპიკის ოდენობით თითოეული ავტომობილის ან საწევარისათვის, ხოლო მოტოციკლეტისათვის — თითო მანეთი. სატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალური მფლობელები მათი ტრანსპორტის დათვალიერების დროს აღნიშნული დოკუმენტების გარდა წარმოადგენენ მძღოლის მოწმობას, ქვითარს დათვალიერების გადასახადის შეტანის შესახებ და ქვითარს მსუბუქი ავტომობილებისა და უწესივრობანი, რომლებიც თუმცა დაბოლოებას არ უქმნიან ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას, მაგრამ აუბნევენ მგზავრებს. ეს არის ძრავების ბოლვა, მეტისმეტი ხმაური, საწვავისა და ზეთის გადენა, ისეთი მოწყობილობათა უქონლობა, რომლებიც აღმოფხვრიან რადიოშეღეთის დაპრკოლებებს და სხვ.

ტექნიკურ დათვალიერებას მოაწყობენ სახელმწიფო ავტოინსპექტორები ავტოტრანსპორტის აღრიცხვის ადგილას, ან სპეციალურ შესაყრად პუნქტებში, რომლებსაც სახელმწიფო ავტოინსპექციი მოაწყობს, ამას სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები შეიტყობენ პრესის ან უწყებების საშუალებით. კომისიაში შევლენ სახელმწიფო ავტოინსპექციის, სამხედრო კომისარიატების მუშაკები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ტექნიკური დათვალიერების დროს ავტომეურნეობებში ტექნიკური პასპორტების გარდა წარმოდგენილი უნდა იყოს მათი ტალონები, ქვითრები, რომ დათვალიერების გადასახადი შეტანილია სახელმწიფო ბანკში 1 მანეთისა და 50 კაპიკის ოდენობით თითოეული ავტომობილის ან საწევარისათვის, ხოლო მოტოციკლეტისათვის — თითო მანეთი. სატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალური მფლობელები მათი ტრანსპორტის დათვალიერების დროს აღნიშნული დოკუმენტების გარდა წარმოადგენენ მძღოლის მოწმობას, ქვითარს დათვალიერების გადასახადის შეტანის შესახებ და ქვითარს მსუბუქი ავტომობილებისა და მოტოციკლების ინდივიდუალურ მფლობელთათვის დაწესებული წლიური გადასახადის სრული თანხის გადახდის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურ მფლობელს არ შეუძლია დათვალიერებაზე წარმოადგინოს საკუთარი ავტომობილი ან მოტოციკლეტი, იგი ვალდებულია პირადად ან ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით დანიშნულ დროს სახელმწიფო ავტოინსპექციაში წარმოადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება იმის გამო, თუ რატომ არ შეუძლია დათვალიერებაზე მოიყვანოს ავტომობილი ან მოტოციკლეტი, აგრეთვე ვალდებულია წარმოადგინოს ზემოაღნიშნული დოკუმენტები, გარდა ქვითრისა დათვალიერების გადასახადის გადახდის შესახებ.

სატრანსპორტო მეურნეობათა ხელმძღვანელებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებსა და ინდივიდუალურ მფლობელებს უნდა ახსოვდეთ, რომ წლიური ტექნიკური დათვალიერება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებაა. ყოველნაირად შეუწყეთ ხელი ამ ღონისძიებების მაღალ დონეზე განხორციელებას.

გ. ხაზარაძე.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი.

მეტყველი ქორეოგრაფია

უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრმა შესანიშნავმა რუმინელმა მომღერალმა ჟრჩენა თბილისელ მაყურებელს თავისი ძალიან ოსტატობა, ამ დღეებში კი პირველად გავეცანით ამ ხალხის ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმომადგენლებსაც.

ბუქარესტის ოპერისა და ბალეტის თეატრის პრემიერები **მაგდალენა პაპა** და **სერგი სტეფანსკი** გამოვიდნენ „გედის ტბასა" და „ეროზელში". ორივენი, ბავშვობიდანვე გატაცებულნი ბალეტით, თავიანთ ოსტატობას სრულყოფდნენ ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში და ამიტომ მათი საშეწარმატაცი ბალეტი — ... ...